სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N8
0113 თბილისი, საქართველო
+995 32 224 22 48
info@procurement.gov.ge

10 / დეკემბერი / 2025 წ.

KA080193153955825

№ **3353**

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით: 2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“ (შემდგომში–სააგენტო) დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ 18 განცხადებას. 5 შემთხვევაში ეცნობათ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ორ შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემისას პერსონალური მონაცემები გროვდებოდა, მუშავდებოდა, ინახებოდა და გაიცემოდა კანონით დადგენილი წესით. სააგენტოს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტი არ დაფიქსირებულა. საჯარო ინფორმაციის გაცემისას სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე